

572
1972

ՀԱՅԿԵՆՆԻ
ՊԵՆՏԻՆՅԱՆ



1972 ՅՍՈԼՈ N5

ՀԱՅԿԵՆՆԻ



მაისი

კ. გომიზაშვილი



არემარე აფერადდა,
ზღვა ხალხს ვხედავთ ხალისიანს,
რა სიხარულს ვეგებებით?
— მაისია! მაისია!

ქუჩებს ცეცხლი მოსდებია,
მზე ტატნოზზე აიწია,
დიდების და გამარჯვების
— მაისია! მაისია!

ნახატი თამარ ჩიჩინაშვილისა

11826

პირველი მაისი

ბ. ლაკაშვილი


პირველი მაისის დღესასწაულის წინა დღეს, მამაჩემი სათამაშოების კუთხეს დააკვირდა და თავი გადააქნია:

— დღესასწაულისთვის ყველა ემზადება. ქუჩებს, მოედნებს ასუფთავებენ, ალამაზებენ. შენს კუთხეში კი რა არეულობა!

მამა მართალი იყო. სურათებიანი წიგნები იატაკზე ეყარა, კუბიკები მიყრილ-მოყრილი იყო, ტროლეიბუსიც კი გადატრიალებული ეგდო.

მამა სამუშაოზე წავიდა, ჩვარი ავიღე, სათამაშოები გადავწმინდე და ყველას თავთავისი ადგილი მივუჩინე. მერე კუბიკებისაგან კრემლის გუმბათი ავაშენე, გამოჭრილი ასოებიდან კი ავაწყე: „მშვიდობა მსოფლიოს!“ მამის ალბომიდან ლენინის პატარა პორტრეტი ამოვიღე და მაღლა, გუმბათთან მივამაგრე.

თარგმნა თამარ ლინიაშვილმა





წელს, 19 მაისს, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 50 წელი შეუსრულდა.

მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერები ზემოთ აღნიშნავენ თავიანთი ორგანიზაციის დაბადების დღეს.

ნორჩმა ლენინელებმა ამ 50 წლის მანძილზე თავი გამოიჩინეს ბეჯითი სწავლით, მუყაითი შრომით; სამშობლოსადმი სიყვარულითა და თავდადებით.

ჩვენო პატარა მეგობრებო, მოდით უფრო ახლოს გავეცნოთ მათ, ჩვენც მათთან ერთად ვიდღესასწაულოთ. პიონერებისაგან ძალიან ბევრსა და საინტერესო ამბებს გაიგებთ...

მაშ, ასე! ავაგიზგიზოთ ჩვენი პიონერული კოცონი! — გვეწვიენენ პიონერები — თქვენი უფროსი მეგობრები!

საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა საზიარო დაპირება

მე (.) ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის კრებაში რომ შევლივარ. ჩემი ახანაგებების წინაშე საზიარო ვიძღვები. რომ შევარაღებ მეყვარება ჩემი სამშობლო, ვისხობარა. ვისწავლი და ვიხატობ იხა, რომოც ვიინაწარკა ლენინმა. რომოც ვეისწავლი კომუნისტური პარტია. მუდამ შევსრულავ საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა პიონებს.

პიონერის წითელ უელსახვევს სამი ბოლო აქვს, რაც სამი თაობის — კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების ურღვევ მეგობრობას ნიშნავს.

პიონერი უფროსილდება და პატივსა სცემს თავის წითელ უელსახვევს, როგორც სამი თაობის მეგობრობის სიმბოლოს.

ოქტომბრელთა ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულია დიდი ბელადის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბავშვობის პორტრეტი. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყოველი ოქტომბრელი ცდილობს ლენინურად ისწავლოს და იცხოვროს, გაიზარდოს ლენინის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი.





რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში ლა-
მაზი ორსართულიანი შენობა დგას. ყოველ-
დღე მისკენ მიიჩქარიან სახეგაბრწყინებული
გოგონები და ბიჭუნები. მათთვის ფართოდ
გაუღია კარი ბორის ძნელაძის სახელობის
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს.

სასახლე უკვე ოცდაათი წლისაა. ოცდაა-
თი წელია დულს და ვადმოლის მისი ცხოვ-
რება. აბა, შევიხედოთ მის ნათელ და ხალი-
სიან ღარბაზებში.



პიონერები გულისყურით სწავლობენ ქვეყ-
ნად ყველაზე საყვარელი ადამიანის ვ. ი.
ლენინის ცხოვრებას. დიდი ბელადის ცხოვ-
რებაზე, მის რევოლუციურ მოღვაწეობაზე
მოგვითხრობს ლენინის ოთახში მოწყობილი
გამოფენები, ფოტოვიტრინები, წერილები...
აქვე, ლენინის ოთახში მუშაობს წითელკვა-
ლისმაძიებელთა კლუბი. იცით, რას აკეთებენ
ამ კლუბის წევრები? იკვლევენ და სწავლო-
ბენ პირველი პიონერების ცხოვრებას,—ბევ-
რი მათგანი ხომ ახლა თქვენი ბებია და პა-
პაა.


აბა, ვინ უფრო მეტ ქალაქს დაასახელებს,
რომელიც იწყება ა-ზე?

ახლა დაასახელეთ ი-ზე დაწყებული სა-
ქართველოს მდინარეები!

აბა, დააკვირდით ამ ყვავილებს და გვი-
თხარით მათი სახელები!

აი, ასეთ სახალისო სავარჯიშოებს, რებუ-
სებსა და თავსატეხებს იგონებენ პიონერები
თქვენთვის.

ეს პიონერები გაერთიანებული არიან
კლუბში, რომელსაც „ქართული ენის საუნ-
ჯე“ ჰქვია.



* * *

ვინც კოსმონავტიკაზე ან გემის ნობაზე ოცნებობს უსათუოდ ავიამოდელი-სტოა ან გემთმშენებლობის კაბინეტს მია-შურებს. ყველა კარგად იცის, რომ კოსმო-ნავტიკას, კაპიტნობას, კონსტრუქტორობას მხოლოდ და მხოლოდ დიდი, დაუღალავი შრომით მიაღწევს ადამიანი. სწორედ ამ დაუ-ღალავი შრომის შედეგია, რომ სასახლის ნორჩი ავიამოდელის ტები და გემთმშენებ-ლები თავიანთი ხელით ნაქეთებ თვითმფრი-ნავებს ბოლნისის, კოდის, ნატახტარის აერო-დრომებზე სკდიან, ხოლო იალქნიან, შიდა-წვის ძრავებით ან რადიოტალღებით მოძრავ გემებს—თბილისის ზღვაზე. სასახლის ავია-მოდელისტოა და გემთმშენებელთა კაბინე-ტებს მრავალი თასი, ვიმპელი, ვერცხლის, ოქროსი და ბრინჯაოს მედალი ამშვენებს.



ოქტომბრულგებო:

გაზეთის ყოველ ნომერს ჰყავს თავისი მო-რიგე კორესპონდენტი. რედაქტორთან ერ-თად მორიგეები ადგენენ ნომრის გეგმას, ანაწილებენ მასალებს.

მერე და, ვინ აწვდის გაზეთს ამ მასალას?— ყველა კაბინეტს ჰყავს თავისი სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც თანატოლებს აცნობს ამა თუ იმ კაბინეტის მუშაობას, წირების მეცადინეობის ამბებს.

როგორ გგონიათ, სად იბეჭდება გაზეთი „გაზეთული“?

სასახლეს თავისი პიონერული სტამბა აქვს. თუმცა მასალებს მუშები აწყობენ და ბეჭდა-ვენ, მაგრამ პიონერები ზოგჯერ სათაურების აწყობაში ეხმარებიან ხოლმე. გაზეთის რე-დაქტორთან და თანამშრომლებთან ერთად ნომერს პასუხისმგებელი პიონერიც ჰყავს.

გაზეთი „გაზეთული“ ხშირად ქვეყნებს მწერლების, მეცნიერების წერილებს, ვეტე-რანი პიონერების მოგონებებს... აი, ერთი მათგანიც:

მოგვითხრობს საქართველოს პიონერული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომე-რე გ. გიგაური...

* * *

პიონერთა სასახლეს აქვს თავისი საკუთა-რი გაზეთი—„გაზეთული“. იგი თვეში ორ-ჯერ გამოდის და ძირითადად სასახლის კა-ბინეტ-ლაბორატორიების მუშაობის შესახებ მოგვითხრობს. გაზეთში ცალკე კუთხე აქეთ ოქტომბრულგებს — სათაურით „თქვენთვის“.

პირველი ახალი წელი

თბილისში დეკემბრის სუხსიანი დღეები... იდგა... იწურებოდა 1923 წელი... საბჭოთაო საქართველო თავისი ბრწყინების ორ წელს ითვლიდა. ზირველი ზიანერება კი ზირველ ასლად წელს სვდებოდადნენ.

კობის ქუჩაზე (დღევანდელი თარსნიძე-ლის ქუჩა) ერთ-ერთ სარდაფში თავი მოკლავდა ს. კაკაბერიძის სხელობის ზიანერთარსმს. თავიანთ სელმძღვანელებთან ერთად ისინი ემზადებოდნენ ასლად წლის შესვლად. ბნელი სარდაფი, სადაც ელექტროგაუჯანილობა არ იყო, ნაძვის ხის სათამაშოების სიმცირე, სიცავე—აი, დაბრკალებები, რომლებიც წინ ედებოდათ. სურვილის და ნებისყოფამ დასძლია ეველანუფრს... მათ სომ ზირველად უნდა ქუჩიშით კალექტიურად ასლად წლის მოსვლა. ანათეს სხნოლები, სარდაფი კაანინდდენეს დამშებთ, ათახის ერთი კუთხიდან შეორემდე კაჭიმეს წითელი დროშები, სკუთბარი სელით დამსვლელები სთამშობებით შორთეს ნაძვის ხე. კანისმა კიკარის, კარშიანსა და დოლის ხმა. ზიანერები ცვევა-



დნენ, ძღერიდნენ, აშობდნენ ლექსებს. სორსების თვითშემაქმელებამ მოხიბლა დიდი თუ ზატარა. ამ დამეს დიდხანს არ შემწდარა შიარული კრიბული. სპი დღე კრმელღებოდა ზეიმი. ზატარებთან ერთად უფროსებმაც მოიღხინეს. სართბდნენ თავიანთი შვილების, შვილიშვილების სისარულით.

„ჩვენს ნარჩინებულ სწავლას. ჩვენს პროფით სანაქარბს. ერთგულბაბასა და სიყვარულს ვენ გიძლენით. გოგოლიარო კარკიპ. ვენ გიძლენით. საბჭოთა საპროგლოვი“



ნახატები რაპაზი ხუმბირიძის

პიონერებმა ამ ლოზუნგით ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყეს მზადება თავიანთი ორგანიზაციის 50 წლის იუბილეისთვის. შეადგინეს გეგმა, პიონერთა რაზმების მარში, რომელსაც უწოდეს „მზად ვარ!“

მარშს—მზად ვარ!— აქვს სულ შვიდი მარშორუტი:
მარშარში .სოლის საყაროში — პიონერებს ცოდნისაკენ მოუწოდებს,—სწავლა მათი მთავარი შრომაა.



მარშრუმი „პიონარული დროშების სწორდით“—
ნიშნავს წითელი დროშის ერთგულებასა და
პატივისცემას. პიონერი ხომ ამ დროშის ნა-
წილს—წითელ ყვლსახევეს ატარებს.



მარშრუმი „პარსკაპაი“ — პიონერებისა და
ოქტომბრელების მეგობრობას გულისხ-
მობს;—პიონერი ხომ ოქტომბრელთა ამხა-
ნავი და წინამძღოლია.



მარშრუმი „ფაილრა და სლიდარობა“ — „დაე
მუდამ იყოს მზე!“



მარშრუმი „პიონარმანი“ — ნიშნავს, შენი
წვლილი შეიტანო საზოგადო შრომაში. ასე
მაგალითად: შორეულ ჩუკოტკაში პიონერ-
თა შრომით გამოჩუქავებულ თანხებით
შენდება პიონერთა სასახლე.



მარშრუმი „მისაჩი“—ჩვენს ბავშვს სიძნელის
გადალახვას, შეუპოვრობას, უკაყებს ჯანმრ-
თელობას. პიონერები ვეფლებიან ნორჩ
არმიელთა რომელიმე სპეციალობას. პიონე-
რი ხომ აქედანვე ვმზადება გახდეს სამშობ-
ლოს დამცველი.



სასახლეში შეხვდებით ნორჩ პოეტებს, პროზაიკოსებს, მთარგმნელებს. ისინი სახლის ლიტერატურული სალონის წევრები არიან. გათავაზობთ ლიტერატურული სალონის წევრთა ორ ნაწარმოებს:



ბულაღები

ნახატი პ. აგბრაძისა

ორი ლეკვი—ბათურა და ბანდურა დი-
ლადადრიან სატულასთან მიიჩქაროდნენ.

— დამაცადოს, თუ მაგის ბეწვი სულ
ყრიალ-ყრიალით არ ვატრიალე ჰაერში და
გუშინდელივით არ ავაგლე საბძლის სასუ-
რაჯზე!—მუქარით აშობობდა ბათურა.

— ერთი ხელში ჩაძივარდეს და მე ვი-
ცი.—იქაძნებოდა ბანდურა.

ამასობაში მშები ბოგირს მიუახლოვდნენ.
ის იყო, გასვლა დააჩირეს, რომ მოულოდ-
ნელად წვაღში დიდმა მწვანე ბუჯამს ისკუ-
პა. მუშინებულმა ლეკვებმა წვაღში ჩაიხედეს
და ბუჯის გადმოკარკლული თვალები რომ
დაინახეს, აკანკაღდნენ, ფეხები დაუცურდათ
და ზატარა, წინა თათებით ბოგირს ჩამოე-
კიდნენ. ტანს რომ მოვიდნენ, ისე მოჭკურ-
ცნლეს—სულ ბდღვირი ადინეს იქაურობას.

ლეკვები სულის მოსათქმელად ორლო-
ბესთან შეჩერდნენ, შიშისაგან ენა ებოდათ.

— რა-რა სამ-სამინელი თვალები ჰქონ-
და!—ენის ბორბივით წარმოთქვა ბანდურამ.

— ჩემი შეუშინდა!—სული მოითქვა ბა-
თურამ.

— არა—ჩემი!—მუედავა ბანდურა.


— ორივესი, ორივესი,—დაუთმო უმც-
როს ძმას ბათურამ.

— მაგასაც ვანახებთ სერი!

— ჯერ სატულას გაუუსწოროთ ანგა-
რიში!—მშები ხატულასკენ გარბოდნენ და
ჯერც კი ამჩნევდნენ, რომ საბძლის სასუ-
რაჯზე წამოსკუპული ციცა ხატულა დიდი
სანია ეშვალაფერს ხედავდა და სიცილით
კვდებოდა.


ლაშა კობაკაძე,
სასახლის სალონის წევრი,
თბილისის მე-10 საშ. სკოლის მე-6 კლ. მოსწავლე

ბიჭი და მაიმუნი



ბიჭი და მაიმუნი ერთმანეთს შესვდნენ.
 ბიჭმა თავი დააქნია.
 მაიმუნმაც დააქნია თავი.
 ბიჭმა გაიცინა.
 მაიმუნმაც გაიცინა.
 ბიჭმა ჯიბეში ჩაიყო ხელი.
 მაიმუნმაც წაიღო ჯიბისკენ ხელი.
 ბიჭმა ვაშლი ამოიღო და ჩაუბინა.
 მაიმუნმაც ხელა გაძალდა მოაუჭრელი თითები და ბიჭს შესხედა, დიდხანს უცქირდა.
 ბიჭი სრამაზსრუშით ჭამდა ვაშლს და არც კი შეუშინებია თუ როგორ უცქმირდა მაიმუნი.

ლაშა იმედაშვილი,
 სასახლის სალონის წევრი.
 თბილისის 55-ე სახ. სკოლის მე-5 კლ. მოსწავლე



* * *



„პიონერი ყველა ქვეყნის პიონერთა და მშრომელთა შვილების მეგობარია!“—აი, სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კაბინეტის წევრთა დევიზი. ამ კლუბის წევრები სწავლობენ მოძმე რესპუბლიკების პიონერთა ორგანიზაციების ტრადიციებს. მათ საქმიანობას, საზღვარგარეთელი თანატოლების ცხოვრებას.

კლუბის წევრებმა ითავეს და ვიეტნამელი ბავშვებისათვის კალმები, ფანქრები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები შეაგროვეს.

აი, ეს ურემი, გემი და თოჯინა უცხოელმა სტუმრებმა ინტერნაციონალურ კაბინეტს უსახსოვრეს.

* * *

ზოგიერთი თქვენგანი თითქმის ყოველდღე აუელის და ჩაუელის რომელიმე ისტორიულ ძეგლს თუ ნანგრევს და არ იცის რა ჰქვია მას, რამდენი წლისაა, ან საიდან გაჩნდა აქ. პიონერები ამითაც დაინტერესდნენ.

ისინი დიდი მონდომებით ეცნობიან და სწავლობენ უკვე მივიწყებულ მგზალიჩეობას, ქედურობას... თლიან ხალხურ საკრავებს...

გომბორის საშუალო სკოლის ბავშვებმა ხალიჩების ქსოვის ძველი ტრადიცია გააგრძელეს და მათი ნამუშევრები 1964 წელს მოსკოვში მსოფლიო კონგრესზე გაიტანეს, ხოლო 1968 წელს ტოკიოში გაგზავნეს.

ნორჩი მხარეთმცოდნეები მუყაოსაგან ძველ ქართულ დარბაზებს აკეთებენ, ბურბუშელიისა და ფუჩინისაგან თოჯინებს, ზღაპრების გამირებს.



* * *

— ალო! ალო! ლაპარაკობს პიონერული რადიოსადგური!— ამ სიტყვებით თბილისელი პიონერები მსოფლიოს ყველა კუთხის რადიომოყვარულ ბავშვებთან იწყებენ ხოლმე საუბარს. საუბარი, რა თქმა უნდა, არც ქართულ, არც რუსულ და არც რომელიმე უცხო ენაზეა— ისინი მორზეს ანბანით — საერთაშორისო რადიომოყვარულთა ჟარგონით აგებინებენ ერთმანეთს, რისი თქმაც სურთ.



კა ღრობა!

ნესტორ მაღაზონია

უკვე მოფრინდნენ მერცხლები,
ცა მათი სანავარდოა.
ფოთოლს ისხამენ ვერხვები...
აბა, ვინ იცის, რა დროა?!



ლახტი

ჯეჰალ ინჯია

თუ გტაცებენ
ქამარს—დახვდი,
არ დაუთმო
შენი ტახტი.
თუ გირტყამენ
ახტი—დახტი,
აბა, ლახტი!
აბა, ლახტი!

თეონას ფეკილი

ვახანა გომოლაშვილი

თეო ქალმა წერილი
წერა, წერა, წერა,
მერე ფოთლის კონვერტი
სამი კვირა კერა.
წააწერა ლამაზად:
— ჩემს საყვარელ მამას.
კენ-კენ-კენ,
მამიკოსაკენ,
გან-გან-გან,
თეონასაგან.



მასკრა

მიხეილ ჩაპუნავა

— საით მიგეჩქარება
 ასე ადრე, მასკრავ?
 — აგერ, მზიას ბაღში,
 კიტრი უნდა დავხრა.



ღრუჭუნა

ველია ბლიაძე

— ხედავ, ღრუჭუნს ბოსტანი
 გაუჩანაგებია,
 ნეტავ თუ აპატია
 ნატალია ბებიაშ?

— არ უპატიებია,
 შეარცხვინა წუხელი,
 ჩამოაცვა კისერზე
 დიდზე დიდი უღელი!




მტვერსასრუტი

გზია ჩხაშიანი

მტვერსასრუტი აზუზუნდა:
 — აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი,
 დავტრიალდი, დავფაცურდი,
 რომ არ დარჩეს არსად მტვერი!

იატაკი, სავარძლები,
 ხალიჩები პაწაწინა
 ვაკრიალე, ვაკრიალე,—
 აბა, ნახეთ, როგორ ბრწყინავს!





ჩემი გეზოგელი ნიკო

ვლადიმერ ასლანაშვილი

ნახატი ზარბაზნაძე

ნიკოს ძმა მესაზღვრეა. ნიკოც სულ მესაზღვრეობაზე ოცნებობს. ერთხელ ძმისაგან ამანათი მიიღო. ამანათში მესაზღვრის ვარსკვლავიანი ქული და სათამაშო ავტომატი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ნიკო მესაზღვრის ქულითა და ავტომატით გამოემეცადა.

— ძია, რა არის საზღვარი?—მეკითხება და თვალს არ მამორებს.

— საზღვარი?—უცებ პასუხი ვერ ვიპოვე.— საზღვარი აი, იმ ღობესაკით არის, თქვენსა და ჩვენს ეზოებს რომ ყოფს. კიდევ იცი რა!—საზღვარი ზოგან მდინარეა, ზოგან ტყე, ზოგან მთები და ზოგან—ზღვა. საზღვარს აქეთ ჩვენი ქვეყანაა, საზღვარს იქით—უცხო ქვეყნები. დგას

შენი ძმა საზღვარზე და ფხიზლად დარაჯობს, მტერი არ შემოგვეპაროსო.

— ჩემ ძმას ძალიც ჰყავს!—გამახსენა ნიკომ.

— ჰო, საზღვარზე ძაღლებიც ჰყავთ, საზღვრის დამრღვევი, რომ ადვილად იპოვონ!

ნიკომ მაღლობა გადამიხადა და წავიდა. იმ დღის მერე მესაზღვრის ქულითა და ავტომატით ნიკოს ხშირად ეხედავ ეზოში, ზაფხუბთან ერთად მესაზღვრეობანას თამაშობს.

ერთხელ ნიკო ქუჩაში შემხვდა, სადღაც მირობოდა.

— ნიკო, საით?—შეფხავ მეზობელს.

შეჩერდა. მე რომ დამინახა, გაუხარდა. ჩემთან მოიბრინა და კონვერტი ამიფრიალა.

- ძმას წერილს ვუგზავნი!
- ჩემი მოკითხვა ხომ არ დაგავიწყდა!
- არა, არ დამვიწყებია!
- სხვას რასა სწერ?
- მესაზღვრის ძალი მიშოვე და ამანათით გამომიგზავნე—მეტქი!
- რას ამბობ!—გავიციან, მეგონა ისიც ხუმრობდა.

ნიკომ თვალი თვალში გამიყარა. ჩემი მეზობელი არ ხუმრობდა.

— ბიჭო, მერე როგორ გამოვიგზავნის ძალს ამანათით?!

— ევე, ეგ ველარ მოვიფიქრე,—თქვა და თვითონაც გაიცინა,—წავალ, ამოვშლი.

— იყოს, ნუ ამოვლი!

— რას ამბობთ, ჩემი ძმა იტყვის, ე რა მოუწერილი!

— არა, ეკონება, ხუმრობ!

დამთანხმდა.

— კიდევ რასა სწერ?

— კიდევ?—ნიკო ჩაფიქრდა,—მოდი, ყურში



გიტყვი!

მე ნიკოსკენ დავიხარე:

— როცა გავიზრდები, მეც მესაზღვრე უნდა გამოვიღე—მეტქი.

— აი, ეგ კი გაუხარდება!—მოუწონე პატარა მეზობელს.

გავიდა რამდენიმე დღე და იცით რა მოხდა?—ნიკომ ძმისგან ამანათი მიიღო. ამანათში დიდი, ენაგადმოვლებული ნაგავის სურათიც იღო.

თინათინი გომალაქა

ექსკავატორმა თვისი საქმე მოათავა, მიწა ამოთხარა და ნაყარი მიწის მთა დააყენა.

გახიარეს გოჩამ, რეზომ და გიამ, „მთას“ უჩინით შეესვენენ, ნაყარ მიწაში ფეხი ეფლობობდათ, მაგრამ მაინც დაჟინებით მიიწევდნენ „მწვერვალისაკენ“. გოჩა ორივეს სჯობნიდა,—რეზო და გია თავს ვერ იმაგრებდნენ და ეცემოდნენ.

ბიჭები მალე ისე ამოიგანგლდნენ, ეახურ ჩურჩხელებს დაემგავსნენ, მოეწონათ თიხანარე მიწაში ბულაობა, სულ მალაყებს გადადიოდნენ.

მაგრამ ძვირად დაუჯდათ,—სად იყო, სად არა, სამი გაცეცხლებული ქალი გამოჩნდა: გოჩას დედა, რეზოს ბებია და გიას უფროსი და. ბიჭებს ყურში წაავლეს ხელი და შინ ლანძღვითა და ვიშვიშით წაათრიეს.

მეორე დღეს სუფთად გამოწუპობილი ბიჭები ისევ გამოცვივდნენ ეზოში. დიდი ხნის უნახავებოეთ შეხედნენ ერთმანეთს.

— იცით, რა მაგრა მცემეს გუშინ!—შესჩვილა გიამ ბიჭებს.

ბიჭები

— მერე, იტირე?—ჰკითხა გოჩამ.

— ვიტირე არა! მირტყამდნენ, მირტყამდნენ და მე მაინც არა ვტიროდი.

— არც მე ვიტირე,—დაიტრიაბა გოჩამ.

— მეც ისე მცემეს, რომ... მაგრამ არც მე ვიტირე,—ჯაუმატა რეზომ.

იმაზე კი კრინტს არ ძრავდნენ—ცალი თვალი რომ ქურდულად მიწაყრილისაკენ ექირათ და, ცალი—ერთმანეთის გაქაბათებულ ტანსაცმელზე.



ლაპარანგი ჭიჭინაძე

ნახატი ზაპარ ღვინაძისა



რუსიკო ჯერ პატარაა. ერთი წელიც და, სკოლაში დაიწყებს სიარულს.

— რომ აღარ თავდება ეს ერთი წელი?—წუხს რუსიკო.

დედა უხსნის:

— ერთ წელში იცი რამდენი ღლეა?

— რამდენი?

— შენ იმდენი თვდაც არ იცი: ასი, ორასი... სამასზე მეტი.

— მე კი ოცამდე ვიცი თვდა; მიმატება და გამოკლება—ათამდე.

— ჰოდა, ახლა გაყოფა ვისწავლოთ.—უთხრა დედამ.

რუსიკოს გაუხარდა.

„ჰო, რა კარგია, რა კარგი. ახლა ღვიძლი გაყოფასაც მასწავლის.—ანტა-დანტა და მაგდის შემოუღსკუპდა.

დედა კი დაპირდა გასწავლიო, მაგრამ როგორ ასწავლოს? რალაც ისეთი უნდა მოიგონოს, რომ ადვილად დაამახსოვრდეს.

რუსიკო ზის და ეღივება როდის ასწავლის დედა გაყოფას. დედა აქეთ-იქით დადის და ფიქრობს.

ამ დროს რუსიკოს ძმა—გია და მისი ამხანაგი—დათო შემოვიდნენ.

— ჰო, რა კარგ დროს მოხვედით,—სიხარულით შეეგება დედა გიასა და დათოს,—თქვენ აქ დასხდით!—მიუჩინა ადგილები მაგიდაზე რუსიკოს პირდაპირ,—რუსიკოს გაყოფა უნდა ვასწავლო და ცოტა ხანს თქვენცა ხართ საჭირო.

ბიჭები დასხდნენ.

დედამ წითელი ვაშლები მისცა რუსიკოს.

— რამდენი ვაშლი გაქვს?—შეეკითხა დედა.

— ექვსი.—უპასუხა რუსიკომ.

— აბა ახლა ეგ ვაშლები ამ ბიჭებს დაურიგე.

რუსიკომ ერთი ვაშლი გიას მისცა, ერთი—დათოს. მერე: კიდევ ერთი—გიას, ერთი—დათოს. ბოლოს ერთიც გიას დაუღო წინ, ერთიც—დათოს.

— დაფურჩგე!
რამდენ-რამდენი შე-
ხვდათ?

— სამ-სამი. — უცებ
უპასუხა რუსიკომ.

— მაშ, ექვსი რომ
გავყოთ ორზე, რამდენია?

— სამ-სამი. — მიიგე-
ბა პასუხი რუსიკომ.

— სამ-სამი კი არა,
სამი. — გაუსწორა დედამ.

გიამ და დათომ ხელი
დასტაცეს ვაშლებს.

— რამდენი ვაშლი
ვიშოფეთ, რამდენი! — ფუ-
ზნებიან ერთმანეთს გა-
ხარებული ბიჭები.

რუსიკოს არც ერთი
ვაშლი აღარა აქვს. და-
ლენდა გოგონა, გაი-
ბურტა. ცრემლები გადმო-
ცვივდა.

— შვილა, რა გატი-
რებს? — შეეკითხა დედა.

— მე ერთი ვაშლიც
აღარ დამჩნა. — სდლკუ-
ნით უპასუხა რუსიკომ.

გიამ ერთი ვაშლი მი-
სცა.

დათომაც დაუღო წინ
ვაშლი.

— ამაზე ტირიდი? —
დაუყვავა დედამ.

— ექვსის სამზე გა-
ყოფა უფრო კარგი ყო-
ფიდა, ყველას შეგხვდა
ორ-ორი ვაშლი. — ამ-
ბობს გახარებული რუ-
სიკო.





რა დაეკარგა ბიჭუნას?

ჯასართოზი

ბიჭუნამ მინდორში გაისვირნა, ხან წიგნი იკითხა, ხან იკოტრიალა. მერე რაღაც მოისაკლისა და ძგბნა დაიწყო.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — ჰკითხა მწყემსმა.

— დაეკარგე!

— რა დაკარგე?

ყმაწვილმა არაფერი უპასუხა, ტანსაცმელი გაიფერთხა და ძგბნა განაგრძო.

ბავშვებო, თუ დააკვირდებით ამ გასართობში ოთხჯერ ამოიკითხავთ, რა დაეკარგა ბიჭუნას!



ბაშოსანავი

ფრინველია ლამის,
დღისით ვერა ხედავს,
დიღთვალეზა კია,
რომელია ნეტავ?
მას თანხმობის სიტყვას
მიუმატებ თუკი,
პიონერებს უხმობს
რა იქნება?....

რომელია, ყმაწვილებო,
ეს პატარა ფრინველი,
სავარცხელი უკეთია
მეტად გასაკვირველი,
ხან გაშლის და ხან დაეკეცავს.
ვინ მიხვდება პირველი?!

მოსთა პირანაშვილი



ბელი

ღაიით ხარკმა

დათვის ბელი ფუმფულა
გამოძერწა ბიძინამ,
ვინც კი ნახა ბაჯბაჯა,
იცინა და იცინა...

ნახატი ვაჟა ლათაბავილია

ბავშვები და მათი მშობლები

ვლადიმერ თორაძე

ბაბუამ ნინიკოს ფურცელზე ლამაზი ასოები დაუწერა: მისი, მშვილობა.

— შენც დაწერე ასეთი ასოები, მისი, მშვილობა! — უთხრა ბაბუამ.

სამსახურიდან დაბრუნებულს შვილიშვილმა წითლად, ლურჯად, მწვანედ აფერადებული ფურცელი შეაგება:

— აგერ, ბაბუა, მისი, — უჩვენებდა თავის დახატულ ბალს ნინიკო, — ეს კიდევ მშვილობაა, — მზერს დაადო ხელი გოგონამ, — გალიმებული მზე ხომ მშვილობაა?!



ნახტი მზის უპლაჰასი

ალაბე

თეიმურაზ აბულაძე

გია დედას ვაგებარა
და მიაღდა ალაგვის:
— ერთი ამას ვადაშელო,
არ ვინატრებ არაფერს! —
გაიფიქრა და ალაგვის
ხელით აგოტირა:
— რა დაბალი მეგონა და
რა მაღალი ყოფილი! —
აიწია ტანით, მაგრამ...
მაგრამ...
მაგრამ... იმწამსვე
დაენარცხა მიწაზე.

გულში ლანძღავს გია ბიჭი,
ვინც ჭიშკარი ჩარაზა...
ალაგედან უჭკერტირებს
ფართო, ფართო შარავჯას...

შთავარი რედაქტორი მუხრან მანანაშვილი

სარედაქციო კოლეჯია: მთავარი მომხატვრული, ლიბო მარამი, უძველესი ლოლა, ზურაბ ლომოვი, მანანაშვილი მარამიშვილი, ირაკლი მანანაშვილი (მ/შე მდებარე), ზაზა მანანაშვილი (სამხ. რედაქტორი), გიორგი მანანაშვილი
საქ. აღმ. ცხ-ისა და გ. ი. ლენინის ხანების პიონერთა ორგანიზაციის რედაქციური საბჭოს ფურცელი
ვლადიმერ თორაძე

საქ. კვ. ცხ-ის
გამომცემლობა

Издательство
ЦК КП Грузии

გვერდები: 15/11-72 წ., ხელმოწერილია დამატებით 19/1V-72 წ., ჰალბის ზომა 6X/30X/16
ფიზ. ნაბ. ფურც. 2.5, ტირაჟი 159.700 შვკ. № 1008. „ლიტა“ № 5. ნა გრუზინსკო ზაზკე. ფასი 20 კაბ.

683/112

საქართველოს
სახელმწიფო



„გოგონა“—ნახატი თინეო ზარბლიშვილისა, 4 წ.
აბსოლუმიანი.
„ტეა“—ნახატი თამარეო წორაძისა, 8 წ. თბილისი.
„ტორაღა“—ნახატი დავით ჯგულუხიძისა, 4 წ.
თბილისი.
„მე“—ნახატი მინდია კუშაშვილისა, 5 წ. ყაზბეგი.
„ქალი“—ნახატი ზაოუნა იახელიანისა, 6 წ. თბი-
ლისი.



„თოვლის პაპასთან“—ნახატი გია უორიკიშვი-
ლისა, 7 წ. ზემო მარჩაბანი.
„ტანკი“—ნახატი მზეგებუყ ხულამანიძისა, 6 წ.
თბილისი.